პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში
(1920 წელი)

პეტრე გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი საქართველოს
დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს.
1920 წლის 8 ოქტომბერი

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და შესავალი წერილი
დაურთეს **აბოლონ სილაგაძემ** და **ვახტანგ გურულმა**

გამომცემლობა „ინტელექტი"
თბილისი 1998

წინამდებარე ნაშრომში ქვეყნდება ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო დოკუმენტი საქართველოს უახლესი ისტორიისათვის. ესაა ცნობილი სოციალ-დემოკრატისა და პოლიტიკური მოღვაწის, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის პეტრე გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას 1920 წლის შემოდგომისათვის აჭარაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ.

რედაქტორი — **მერაბ ვაჩნაძე**

რეცენზენტი — დოცენტი **ავთანდილ წოწკოლაური**

მნიშვნელოვანი დოკუმენტი საქართველოს უახლესი ისტორიისათვის

აჭარის ტრაგედია დიდხანს და საგულდაგულოდ იწერებოდა. საქართველოდან აჭარის მოგლეჯის სცენარს უმეცარი პოლიტიკოსები არ წერდნენ. მტერმა, სამწუხაროდ, თავისი საქმე კარგად იცოდა. ამის დამადასტურებელია თურქეთის პოლიტიკა აჭარში XVI-XIX საუკუნეებში, რუსეთის პოლიტიკა XIX-XX საუკუნეებში. აჭარის, სამცხისა და საინგილოს მოწყვეტა საქართველოდან დიდ მარცხს წარმოადგენდა ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისათვის წარმოებულ ბრძოლაში. ქართველ მეფეებს, ქართველ პოლიტიკოსებს კარგად ესმოდათ როგორც აჭარის, ისე სამცხისა და საინგილოს მნიშვნელობა ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. და ალბათ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ქართული სამეფო-სამთავროების დასუსტება XVII-XVIII საუკუნეებში, სხვა მთავარ მიზეზთა შორის, იმანაც განაპირობა, რომ მტერი საფუძვლიანად მოკალათდა აჭარაში, სამცხესა და საინგილოში და აქედან წეწდა და გლეჯდა საქართველოს სხეულს.

XIX საუკუნის დამდეგიდან იწყება ქართველობისა და საქართველოს გადარჩენისათვის ბრძოლის ახალი დიდი ეტაპი. ამ პერიოდიდან საქართველოს ისტორიული ტერიტორიის უდიდესი ნაწილი რუსეთის იმპერიის ფარგლებშია, 1829 წლისათვის მას ახალციხე, ახალქალაქი და ფოთიც შეემატა. აჭარა კვლავ თურქეთის მფლობელობაში რჩებოდა. ასე

გაგრძელდა თითქმის ნახევარი საუკუნე. XIX საუკუნის დამდეგიდან 1878 წლამდე საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა. XIX საუკუნის დამდეგის აჯანყებებმა, 1832 წლის შეთქმულებამ და ბოლოს 60-იანი წლების დამდეგიდან ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით დაწყებულმა დიდმა ეროვნულმა მოძრაობამ განაპირობა მნიშვნელოვანი წარმატებები ქართველი ერის კონსოლიდაციის გზაზე. სამწუხაროდ, აჭარა ამ პროცესში ვერ მონაწილეობდა. 1878 წელს, თურქეთთან ომში მორიგი გამარჯვების შემდეგ, რუსეთმა სან-სტეფანოს ზავით და ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით აჭარა შეიერთა. აჭარის მჭიდროდ დაკავშირებას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ პროცესებთან გარკვეულწილად შეუშალა ხელი იმან, რომ ბერლინის კონგრესის (1878 წლის ივნის-ივლისი) გადაწყვეტილებით ბათუმი რუსეთს პორტო-ფრანკოს ანუ თავისუფალი ქალაქ-ნავსადგურის უფლებით გადაეცა. პორტო-ფრანკოს სტატუსი ბათუმში მხოლოდ 1886 წლს გაუქმდა. ვითარება სასიკეთოდ არც შემდგომ ხანებში შეცვლილა. კავკასიის სამეფისნაცვლოს კოლონიური ადმინისტრაცია ყოველნაირად უშლიდა ხელს აჭარის ინტეგრაციას საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ პროცესებთან. რაც ამ თვალსაზრისით აჭარაში სასიკეთო გაკეთდა, ისიც ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების წყალობით. რუსეთის საიმპერატორო კარს აჭარა იმპერიის შემადგენლობაში უნდოდა ეხილა და არა საქართველოს შემადგენლობაში. პირველ დიდ გამარჯვებას, რომელიც აჭარაში იქნა მოპოვებული, წარმოადგენდა **ილია ჭავჭავაძის ტრადიციებზე აღზრდილი ინტელიგენციის გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე.** ამ ინტელიგენციის ყველაზე დიდი და თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო **მემედ-ბეგ აბაშიძე.** პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ (1914 წ.) ისევ არახელსაყრელი პირობები შექმნა აჭარაში. აჭარა ფრონტისპირა ზონად

იქცა. 1914-1916 წლებში რუსეთის არმიამ კავკასიის ფრონტზე მოპოვებული წარმატებების შედეგად არ დაუშვა თურქეთის რევანში აჭარაში, მაგრამ ვითარება შეიცვალა 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ, უფრო ზუსტად 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. არსებობის პირველი თვეებიდანვე საბჭოთა რუსეთი ძლიერმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა მოიცვა. რუსეთს ომის წარმოება აღარ შეეძლო. ვ. ლენინმა გადაწყვიტა გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან სეპარატიული ზავი დაედო და ამით ეხსნა საბჭოთა რეჟიმი. ზავი გერმანიასთან საბჭოთა რუსეთს ძალზე ძვირი დაუჯდებოდა. ბოლშევიკები ამ დიდ მსხვერპლზე წავიდნენ. 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში რუსეთმა გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან სეპარატიული ზავი დადო. ზავის პირობებით თურქეთმა, როგორც გერმანიის მოკავშირემ, მიიღო ბათუმის, არდაგანის (არტაანის) და ყარსის ოლქები. **დაიწყო აჭარის ტრაგედიის ახალი ფურცელი.**

ვერც ამიერკავკასიის კომისარიატმა (თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი) და ვერც ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ (მთავრობის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი) თურქეთს ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მინიჭებულ უფლებებზე უარი ვერ ათქმევინა. პირიქით, თურქეთი მთელი ამიერკავკასიის ოკუპაციას აპირებდა.

1918 წლის 15 აპრილს თურქეთის ჯარებმა ბათუმი დაიკავეს. ქართულმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ თურქეთის არმიის წინსვლა მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე შეაჩერა. თურქეთი ბათუმისა და აჭარის დათმობას არ აპირებდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტისათვის — 1918 წლის 26 მაისს — აჭარა ისევ თურქეთის მიერ იყო ოკუპირებული.

1918 წლის 4 ივნისს თურქეთის მიერ ოკუპირებულ

ბათუმში დაიდო საქართველო-თურქეთის ხელშეკრულება. ხელშეკრულების ძალით თურქეთმა მიიღო მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ანუ სამუსლიმანო საქართველო (აჭარა), ასევე მთელი მესხეთი აწყურისა და აბასთუმნის გამოკლებით. მიუხედავად ზავისა თურქეთის ჯარები მაინც მოიწევდნენ საქართველოს სიღრმეში და მხოლოდ გერმანიის დახმარებით გახდა შესაძლებელი თურქთა შემოტევის შეჩერება. აჭარაში თურქეთის ბატონობის პერიოდში, ცხადია, ქართული ორიენტაციის ძალები დიდ დევნასა და შევიწროვებას განიცდიდნენ.

1918 წლის 30 ოქტომბერს დამარცხებულ თურქეთსა და ანტანტას შორის დაიდო ზავი (მუდროსის ზავი). ზავის პირობებით თურქეთს უნდა დაეტოვებინა ამიერკავკასიაში მის მიერ დაპყრობილი ტერიტორიები. მუდროსის ზავით ანტანტამ, ფაქტიურად ინგლისმა, ბათუმის ოკუპაციის უფლება მიიღო. 1918 წლის 1 დეკემბერს ინგლისის ხომალდები ბათუმში შევიდნენ. 22 დეკემბერს ბათუმში კიდევ 5 ბრიტანული კრეისერი შევიდა საკმაოდ ძლიერი სამხედრო ძალით (15-20 ათასი კაცი). ინგლისელებმა მუდროსის ზავით მინიჭებული უფლების ძალით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ნებართვის გარეშე, დაიკავეს ქალაქი ბათუმი და ბათუმის ოლქი, მოახდინეს ამ ტერიტორიის ოკუპაცია და შექმნეს ბათუმის საგენერალგუბერნატორო. იმავდროულად თურქეთის ჯარებმა დატოვეს ბათუმის ოლქი. აჭარაში ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლება 1920 წლის ივლისამდე არსებობდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა კარგად ხედავდა ინგლისის მთავრობის ანტიქართული პოლიტიკის ყველა უარყოფით შედეგს, მაგრამ მას ძალა არ შესწევდა წინ აღდგომოდა ინგლისის სამხედრო მისიის ანტიქართულ საქმიანობას, მათ შორის აჭარაშიც. აჭარაში ინგლისელთა საოკუპაციო ხელისუფლების არსებობის პე-

რიოდში (1918 წლის დეკემბერი – 1920 წლის ივლისი) ყოველმხრივ შევიწროვებას განიცდიდნენ ქართული ორიენტაციის ძალები, მაშინ როდესაც ქემალისტები თავისუფლად დაპარპაშებდნენ. ინგლისმა აჭარაში ქართული ორიენტაციის ძალების მიმართ ზედმიწევნით ზუსტად გააგრძელა თურქეთის პოლიტიკა.

მართალია, 1918-1920 წლებში ჯერ თურქეთის, ხოლო შემდეგ ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების არსებობის პერიოდში აჭარაში ქართული ორიენტაციის ძალები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ მემედ-ბეგ აბაშიძემ და მისმა თანამოაზრეებმა, თბილისიდან თითქმის ყოველგვარი პრაქტიკული დახმარების გარეშე, შეუძლებელი შეძლეს – **აჭარა შეუნარჩუნეს საქართველოს.**

ინგლისის მიერ აჭარის საქართველოსათვის გადაცემის შემდეგ არ დამთავრებულა აჭარის ტრაგედია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო დროული და გადამჭრელი ღონისძიებები ვერ გაატარა აჭარაში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მიზნით. პირიქით, აჭარის მართვა-გამგეობის მოწყობისა თუ მოსახლეობასთან დამოკიდებულების საქმეში თბილისმა ბევრი უხეში, გაუმართებელი შეცდომა დაუშვა. ცენტრალური ხელისუფლება აჭარაში საბოლოო ჯამში ქართული ორიენტაციის ძალებს დაუპირისპირდა, მემედ-ბეგ აბაშიძე და მისი თანამოაზრენი პოლიტიკური ცხოვრებიდან გარიყა. ყოველივე ამის შედეგი იყო ის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ აჭარაში თითქმის ვერც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ვერ მოაგვარა.

ცხადია, აჭარაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის შესახებ იცოდნენ როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში ისე დამფუძნებელ კრებაში. 1920 წლის სექტემბერში აჭარაში შექმნილი მდგომარეობის შეს-

წავლის მიზნით მივლინებული იქნა დამფუძნებელი კრების წევრი პეტრე გელეიშვილი. პეტრე გელეიშვილმა აჭარაში 12 დღე დაჰყო და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას ვრცელი მოხსენებითი ბარათი წარუდგინა (მოხსენებითი ბარათი ავტორის მიერ შეცდომით ასეა დათარიღებული: „10/8-20", ე. ი. „10 აგვისტო, 1920 წელი", უნდა იყოს: **„8/10-20", ე. ი. „8 ოქტომბერი, 1920 წელი"**, რადგან პეტრე გელეიშვილი ბათუმში 21 სექტემბესს გაემგზავრა და ცხადია 10 აგვისტოს მოხსენებით ბარათს ვერ დაწერდა).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას გადამჭრელი ღონისძიებები არც პეტრე გელეიშვილის მოხსენებითი ბარათის შემდეგ გაუტარებია. ეს კია, მოხსენებით ბარათში დასმული საკითხები შესასწავლად და რეაგირებისათვის დასმული იქნა შინაგან საქმეთა მინისტრის, სამხედრო მინისტრისა და იუსტიციის მინისტრის წინაშე. ზემოთ ხსენებულ მინისტრებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმეთამმართველობამ წერილები გაუგზავნა 1920 წლის 26 ოქტომბერს **(იხ.: სცსსა, ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 144, ფურცლები 14, 15, 16)**. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამდე რჩებოდა ოთხი თვე...

პეტრე გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი ვრცელი, მაგრამ თავისი შინაარსითა და მიზანდასახულიბით საკვლევით ნათელი და მკითხველისათვის მისაწვდომია. აქედან გამომდინარე ჩვენ თავს ვიკავებთ მოხსენებითი ბარათის ცალკეული ადგილების კომენტირებისაგან. ამასთან აუცილებლად ჩავთვალეთ მკითხველს წარუდგინოთ თვით პეტრე გელეიშვილი. **პეტრე გელეიშვილი** ქართველ სოციალ-დემოკრატთა პირველი თაობის წარმომადგენელია. იგი დიდი შემართებით ებრძოდა ილია ჭავჭავაძესა და „ივერიის" მიმართულებას. ამ თვალსაზრისით პეტრე გელეიშვილი ქართველ სოციალ-

დემოკრატთაგან თითქმის ყველაზე აგრესიული იყო. ამის დამადასტურებელია 1894 წელს **„ყარიბის“** ფსევდონიმით გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებული პეტრე გელეიშვილის **„ივერია“, „მოამბე“ და „მესამე დასი“**. ილიას წინააღმდეგ ბრძოლას პეტრე გელეიშვილი შემდგომ წლებშიც არ წყვეტდა. აღსანიშნავია, რომ მას სერიოზული უთანხმება ჰქონდა ნოე ჟორდანიასთან როგორც 1917 წლამდე, ისე 1918-1921 წლებში (ცნობილია, რომ პეტრე გელეიშვილი 1920 წელს ნოე ჟორდანიას ბიუსტის შექმნის წინააღმდეგი გამოვიდა). პეტრე გელეიშვილი იყო საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი. პოლიტიკურ მოღვაწეობასთან ერთად იგი ეწეოდა პუბლიცისტურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. პეტრე გელეიშვილი ავტორია რამდენიმე ძალზე გახმაურებული ნაშრომისა, რომელთაგან აღსანიშნავია რუსულ ენაზე გამოცემული „წითელი წიგნი“ (იხ.: **Кариби**. Красная книга. Тифлис, 1920), ასევე ალექსანდრე ამილახვარისადმი მიძღვნილი გამოკვლევა (იხ.: **პ. გელეიშვილი.** ა. ამილახორი, როგორც პოლიტკური მოღვაწე, მწერალი და მოაზროვნე. თბილისი, 1937).

პეტრე გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში **(ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 144)**. დოკუმენტი დედანს წარმოადგენს. დიდი ფორმატის ფურცელზე მანქანაზე დაბეჭდილი (ორივე გვერდიდან) ტექსტი პეტრე გელეიშვილის ხელითაა ჩასწორებული. მოხსენებით ბარათთან ახლავს ავტორის ხელრთვა: **„დამფუძნებელი კრების წევრი პ. გელეიშვილი“**.

დოკუმენტის გამოსაცემად მომზადებისას უცვლელად დავტოვეთ დედნის სტილი და ორთოგრაფია, გავასწორეთ მხოლოდ პუნქტუაცია და კორექტურული შეცდომები.

აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული

დოკუმენტი

საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის პეტრე გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას.

1920 წლის 8 ოქტომბერი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს

დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა და პრეზიდიუმის დავალებით მე წავედი ბათუმის ოლქის გასაცნობათ 21 სექტემბერს და ვიმოგზაურე ამ ოლქში 12 დღე.

ვიყავი ოლქის ასე თუ ისე თვალსაჩინო ადგილებში, ვინახულე და მოველაპარაკე ბევრს სხვა და სხვა სოციალურ მდგომარეობის პირებს: ბეგებს, გლეხებს, სასულიერო წოდების წარმომადგენლებს (მოლებს, ხოჯებს, მუფთიებს). მოველაპარაკე როგორც ბათუმში, ისე ოლქში ბევრს ქართველ ქრისტიანებს, უმეტეს ნაწილათ ჩვენივე პარტიის საპასუხისმგებლო და თვალსაჩინო წევრებს...

და ყოველ ამის შემდეგ მე იმ დასკვნაზე მივედი, რომ ჩვენ ბათუმის ოლქში (ამ მართალია მცირე დროს განმავლობაში) სრულიად არაფერი არ გაგვიკეთებია. ამ ოლქში, რა თქმა უნდა, თვით ბათუმის გამოკლებით, არც ერთი ახალი მომხრე და მოყვარე ჩვენი ქვეყნისა არ შეგვიძენია და რაცა გვყავდა სულ-ერთიანათ მოგვიმდურებია და მტერთა და მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადაგვირეკია.

ჩემის ღრმა რწმენით, აქ ქართველ მახმადიანებს ჩვენ

ვძულვართ და ვეზიზღებით და სრულიად საკმარისია რაიმე უსიამოვნება მოგვიხდეს რომელიმე მეზობელ სახელმწიფოსთან, რომ ქართველი მახმადიანები გაყვენ პირველი ავანტუირისტის რჩევას და როგორც ერთი კაცი ისე გამოვიდენ ჩვენს წინააღმდეგ.

მე ვამტკიცებ, რომ ჩვენ აქ ვძულვართ და ვეზიზღებით და, სამწუხაროთ, ჯერ არაფერი არ გვიქნია ისეთი, რომ ეს სიძულვილის გრძნობა ხალხის გულიდან თუ არ ამოგვეფხრა, გაგვენელებია მაინც. ჩვენ ჯერ აქ ერთი ისეთი ნაბიჯიც არ გადაგვიდგამს, რომ ხალხის ასეთი განწყობილება ჩვენდამი შეგვეცვალა.

სრულიად პირიქით, ჩვენ აქ ვშვრებით ყოველ იმას, რაც ამ ხალხის ჩვენდამი უკმაყოფილებას აღრმავებს და ზრდის და თუ საქმე ასე გაგძელდა, თუ აქ ჩვენი ტაქტიკა ძირ-ფესვიანათ არ შეიცვალა, ჩვენ მალე, სულ მალე, აქ დიდი გართულება მოგველის.

პირველ ყოვლისა, დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ თქვენ აქ იგრძნოთ ამ ქვეყნის უპატრონობა, სრული მიტოვება ჩვენის მხრით.

ინგლისელების ადგილი დავიჭირეთ. დიდი პოლიტიკური გამარჯვება ვირგუნეთ. „ბათუმის დღეები“ დიდებულათ ვიდღესასწაულეთ და, სამწუხაროთ, საქმე ამით გავათავეთ. იმ ბედნიერი დღეების შემდეგ სულ მიგვიძინებია, ხალხი თავის ნებაზე გაგვიშვია. ამ ბედნიერი დღეების შემდეგ ამ ხალხში არ გაისმის ჩვენი ხმა, არ სწარმოებს ჩვენი მუშაობა. აქ მუშაობს ყველა ჩვენი დაუძინებელი მტრები. აქ მრავლათ აშკარათ შეხვდებით ქემალისტების აგენტებს, ბოლშევიკებს, ძველ დენიკინელებს და ახლანდელ ვრანგელის მომხრეებს, მაგრამ ჩვენს მომხრეს, ჩვენი ორიენტაციის კაცს მთელს ოლქში ათსაც ვერ შეხვდებით.

ამ ქვეყანას ჩვენ ისე ზერელეთ ვეპყრობით, რომ ჩვენ იმისთვის მთელი კაციც კი ვერ გაგვიმეტებია, რომელმაც მთელი თავისი ძალ-ღონე იმას შესწიროს და მარ-

ტო ამ ოლქზე იმუშაოს. მართალია, ჩვენ აქ დავნიშნეთ ნიჭიერი პოლიტიკური მოღვაწე ამხ. ბენია ჩხიკვიშვილი, მაგრამ ის ერთი ფეხით მივაბით თბილისის ქალაქის თავის სავარძელს, მეორეთი დამფუნებელ კრებას, დავარქვით ბათუმისა და მისი ოლქის საგანგებო კომისარი და საქმე ამით გავათავეთ. ამ კაცს დროც არა აქვს ოლქს დაახლოვებით გაეცნოს, არა თუ იქ სისტემატიური მუშაობა დაიწყოს. ის ყოველგან არის ბათუმშიც, თბილისში, მაგრამ არ არის ოლქში, მას ვერ ხედავს ხალხი. მაგონდება ბედნიერი დღეები, როცა თბილისში ევროპის სოციალისტები გვესტუმრენ, თბილისის ქუჩებში წესრიგს ბათუმსა და იმის ოლქის საგანგებო კომისარი ამხ. ჩხიკვიშვილი განაგებდა, თითქოს მას ასეთი საქმეებისათვის ეცალა, თითქოს ჩვენ აქ კაცი არ გვეშოვებოდა ასეთი უბრალო საქმისათვის.

ბათუმის ოლქში ადმინისტრატორებიც ხომ შერჩევით არ არიან არჩეული. აქ ეტყობა, კანდიდატს არავინ კითხავს: ვინა ბრძანდები, რა ზნეობრივი ან გონებრივი ავლადიდება გაბადია, სად და როგორ გიმსახურიაო და სხვა... ასწევენ და დანიშნავენ დიდ, ვეებერთელა პასუხსაგებ თანამდებობაზე ამა თუ იმ პირს და მიუშვებენ თავის ნებაზე, არავინ არ კითხავს: რას აკეთებ, როგორ აკეთებო.

საკმარისია ერთი მაგალითის მოყვანა.

ართვინის ოლქის უფროსი ბრძანდება ვინმე პოლკოვნიკი წულუკიძე. ამ კაცმა, როგორც მეკრივემ და დებოშიორმა, თავი ისახელა აბასთუმანის აგარაკზე, რისთვისაც იმას გამოუძახეს ართვინიდან და ციხეში ჩასვეს... და იმავე დროს იგი იყო და დღეს არის ართვინის ოლქის უფროსათ. ჩემი იქ ყოფნის დროს დაბრუნდა ოლქში ბატონი წულუკიძე, ციხიდან ახალ განთავისუფლებული. მე იმ დღეს ბორჩხაში ვიყავი და იქ მთელი იქაური მცოხვრებლების შეგნებული ნაწილი სიცილით მეუბნებოდენ:

— იქ კაცი არ გამოგადგათ, ციხეში ჩასვით და ასეთი კაცი ჩვენი ქვეყნის დიდი ნაწილის უფროსათ, ხალხის ბედის გამგეთ და ბატონ-პატრონათ გამოგვიგზავნეთო.

და მართლაც, რა უნდა თქვას ხალხმა, რა ნდობით უნდა მოეპყრას უფროსს, რომელსაც მთავრობა იჭერს და ციხეში სვამს. რა თქმა უნდა, ასეთ უფროსს არაფერი ავტორიტეტი აღარ ექნება ხალხში და ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთავრობაც კარგავს თავის გავლენას ამ ხალხში. ჩინოვნიკი, რომელიც არ ერიდება ხალხის ცემა-ტყეპას აბასთუმანში, სადაც თვითონ მთავრობის თავმჯდომარე ბრძანდებოდა, სადაც იმავე დროს ცხოვრობდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი და ათიოდე წევრი დამფუძნებელი კრებისა, რა თქმა უნდა, არაფერ პატივს არა სცემს ადამიანის პიროვნებას ართვინის ოლქში, სადაც არც მთავრობის თავმჯდომარეა, არც შინაგან საქმეთა მინისტრი და სადაც ხალხი საქართველოსა და მის მთავრობაზე შეხედულებას ადგენს ასეთი ულირსი ადმინისტრატორით...

ამის შემდეგ ადვილი ასახსნელია ის განწყობილება, რომელიც არსებობს ჩვენს ადმინისტრაციასა და ადგილობრივ ხალხს შორის.

ავიღოთ ქობულეთის მხარე, რომელიც საქართველოს უფრო დაწინაურებულ ნაწილთან — გურიასთან — არის მიდებული და ასე თუ ისე, ჩვენი ქვეყნის გავლენის ქვეშ უნდა იყოს.

რას ვხედავთ ჩვენ აქ.

აქ ხალხი პირდა-პირ ბოიკოტს უცხადებს ჩვენს ადმინისტრაციას.

აქ ადმინისტრაცია და ხალხი ორს — ერთი მეორეს მოწინააღმდეგე ბანაკათ არის გაყოფილი. თქვენ აქ ხედავთ მილიციონერებს, მათი უფროსით, ხედავთ კომისარსა და მის თანაშემწეს, მაგრამ ყველა ეს ხალხი შეფარებია კომისარიატის შენობას და ძალიან იშვიათათ რომელიმე მათგანი გაბედავს კომისარიატის მოშორე-

ბას და სადმე სოფლათ წასვლას. იმათ პირდა-პირ ეშინია ხალხში გამოსვლა. რატომ? იმიტომ, რომ ხალხი მტრულათ უყურებს მათ, მათთან არაფერი დამოკიდებულების დაჭერა არ უნდა.

აქაური ადმინისტრაცია თქვენს შეკითხვაზე: როგორი განწყობილება არსებობს თქვენსა და ადგილობრივ ხალხს შორის, გიპასუხებს: ხალხი ჩვენთან არ მოდის, არავინ გვეკარება, არც ჭირსა და არც ლხინში არ მოგვმართავს, ხალხს ისე ეჯავრება ჩვენთან მოსვლა, რომ არა თუ საქმისათვის არ გვეკარება, არ გვეკარება მაშინაც კი, როცა ჩვენგან რამე სარგებლობას მოელის... ბაირამის წინადღეებში მთავრობის მიერ გამოგზავნილ სანოვაგეს: პურს, შაქარს, ბრინჯსა და სხვას ვურიგებდით ხალხს. ხალხი არც ამ სანოვაგის მისაღებათ გამოცხადდა და მხოლოდ რამდენიმე ღარიბ-ღატაკებს დავურიგეთ. — გვითხრა კინტრიშის რაიონის (ქობულეთის) კომისარის თანაშემწე კვაჭანტირაძემ და უფროსმა მილიციონერმა მახმადიანმა ქართველმა მახმუდ-აღა მჟავანაძემ.

ადმინისტრაცია არსებობს მხოლოდ დიდ რაიონებში, ყოფილ მაზრებში. სოფლათ არავითარი ადმინისტრაცია არ არსებობს. სოფლათ არ არის არც ძველი მამასახლისების ნაცვალი კომისრები, არც მილიცია. სოფელი მიტოვებულია ხვთის ანაბარათ... კი არა, მიტოვებულია ჩვენი მტრების აგიტატორების ანაბარათ. ეს აგიტატორები დაუძინებლათ ეწევიან ჩვენს წინააღმდეგ მუშაობას, ისინი ჩასჩურჩულებენ ხალხს: ნუ მიმართავთ ქართველების ადმინისტრაციასო და ხალხიც მათ უჯერებს. ჩვენის მხრით სოფლათ არ არის არავითარი მუშაობა, არც პარტიული, არც სხვა რაიმე. სამაგიეროთ აქ ძალიან ფეხმოდგმულია თურქების აგენტები, რომლებსაც ხუცუბანიდან ჩვენი ჯარების გამოყვანის შემდეგ სულ ერთიანათ ჩაუგდიათ ხელში ეს რაიონი. ისინი პირდა-პირ გაბატონებულან: კოხში, იჭყივის თავში, ცხემლოვანში, ჭახათში, ხინოში და ტყემალ-კვერაში. ეს სოფლები წარმოადგენენ რაღაც ცალკე სახელმწიფოს. იქ არვის

არ უშვებენ, რომ არ გაიგონ: ვინ არის, რა საქმე აქვს, ვისი მომხრეა და სხვა. თუ აქ რომელიმე სხვა ადგილიდან უბრალო გლეხი გამოჩნდება, ოსმალების შეიარაღებული აგენტები წინ შემოხვდებიან და მანემდი არ მოშორდებიან, სანამ დანამდვილებით არ გაიგებენ, რომ ეს კაცი მათი მომხრეა და მათთვის საშიშრებას არ წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას სცემენ, თუ რამე აბადია ყოველისფერს წაართმევენ, იყო შემთხვევა, რომ კიდეც მოკლეს ასეთი გლეხები.

თუ ასე სასტიკათ ეპყრობიან ადგილობრივ გლეხებს, ადვილი მისახვედრია, რომ აქ გარეშე პირის მიმოსვლა სახიფათოა და შეუძლებელიც. ჩვენი ასეთი დაკვირვება, სამწუხაროთ, კიდეც გაამართლა სინამდვილემ. ჩვენი იქ ყოფნის რამოდენიმე დღის შემდეგ აქ კიდეც გააკეთა ხალხმა ჩვენს მილიციონერებზე თავდასხმა სოფელ კოხში, სადაც ორი მილიციონერები ტყვიით განგმირეს და შემდეგ მკვდრებს ყელები გამოსჭრეს და გვამები დაასახიჩრეს.

ქობულეთის რაიონში, ეტყობა, ყველაზე უფრო გაბედულათ მოუყრია თავი ჩვენს მტრებს. სწორედ ამ რაიონებიდან იყო ბაქოს ყრილობაზე გაგზავნილი დელეგატები: 1) ხასან-ეფენდი ბულარ-ოღლი, 2) სულეიმან კობახიძე, 3) ახმედ-აღა ჩემი-ოღლი და 4) ბექირ-აღა აბუსერიძე, რომლებმაც ბაქოს ყრილობას განუცხადეს: თუ ქემალ-ფაშა წინ წამოვა, ჩვენ ბათუმის ოლქში 15 ათასი კაცი მზათა გვყავს რომ შეუერთდეთო.

აქ დასახელებული ხასან-ეფენდი ბულარ-ოღლი ხალხში დიდი გავლენიანი პიროვნებაა. ის არის სედაი მილეთის თავმჯდომარე. ბაქოდან დაბრუნების შემდეგ იგი, როგორც ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა, ქართველმა მუსულმანებმა, გადმოგვცეს, აწყობს ღამ-ღამობით სოფლებში კრებებს, უხსნის ბაქოს ყრილობაზე შემუშავებულ მოქმედების პროგრამას და ამზადებს ხალხს ასაჯანყებლათ. ეს ფაქტი გადმოგვცა პარტიულმა ამხანაგებმა

ქართველ მახმადიანებმა: როზან გოგიტიძემ და ხასან თხილაიშვილმა. ეს დაგვიმოწმა ქობულეთის სადგურის უფროსმა, ჩვენი პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარემ.

საკვირველია, პირდაპირ გაუგებარია, რომ ეს დასახელებული პირები თავისუფლათ დაბრძანდებიან ქობულეთში და მათ დატუსაღებაზე ჯერაც არვის არ უფიქრია. ეს მით უფრო საკვირველია, რომ საგანგებო კომისარი არ მორიდებია ქართველ ჯარის გენერალ, აქ ხალხში გავლენიანი გვარიშვილის, ასლან-ბეგ აბაშიძის დაჭერას მხოლოდ იმიტომ, რომ მან გაბედა სავალდებულო დადგენილების დარღვევა და ქალაქს გარეთ ბაღში რევოლვერი გაისროლა. და იმავე დროს აქ თავისუფლათ დათარეშობენ ზემოთ დასახელებული ოსმალეთის აგენტები. აქ თავისუფლათ ცხოვრობს ქართველი მახმადიანი, ვინმე ხოჯა ქათამაძე, რომელმაც აქ ინგლისის ბატონობის დროს ბაქოს ბოლშევიკებიდან ხუთი მილიონი ფული ჩამოიტანა ოლქში ჩვენს წინააღმდეგ აგიტაციის მოსაწყობათ...

უდიდესი უბედურება ჩვენთვის აქ ჩვენი ჩინოვნიკების მექრთამეობა, სახელმწიფო ინტერესების დაუზოგველობა, და მათი სულ უკულტურობა.

მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი.

I. იარაღითა და პატრონებით ვაჭრობა

ეს ხდება თვით ქალაქ ბათუმში. ეს ასეა გავრცელებული, რომ პირდაპირ გაუგებარია, თუ რატომ ამდენ ხანს არ მიექცა ამას ჩვენი მთელი ყურადღება. და არ ამოიფხვრა ეს ბოროტება. ჯარის კაცებს, რა თქმა უნდა, ზოგიერთი ოფიცრების მონაწილეობით, გამოაქვთ ღამ-ღამობით ათობითა და ასობით პატრონებით სავსე ყუთები და ჩუმათ ყიდიან თათრებზე, სომხებზე, ბერძნებზე. ამ

უკანასკნელებსაც ნამალევათ დააქვთ ნაყიდი პატრონები ხალხში და ყიდიან 3-5 მანეთამდე თითო პატრონას.

ასე და ამ რიგათ ჩვენი ჩინოვნიკები ჩვენისა პატრონებით აიარაღებენ ჩვენი ქვეყნის მტრებს და ეს ქრისტეს გამყიდველები ისე აწყობენ ამ საქმეას, რომ ციხისა და დასჯის ნაცვლათ მადლობასაც კი იღებენ თავის უფროსებიდან. აი, საქმეს როგორ ახერხებენ. ჯერ ყიდიან პატრონებს მრავალ აგენტების მეოხებით. შემდეგ რომ მთავრობამ არ გაუგოს და არ დასაჯოს, ერთ-ორ შემთხვევაში თვითონვე ატყობინებენ მილიციას: არიქა, ამა და ამ კაცს ნაპარევი პატრონები მიაქვს და დაიჭირეთო. მილიციაც იჭერს პატრონების მყიდველებს და იმავე დროს ქვეყნის ასეთი „ერთგულებით“ თავიც მოაქვს. თვით ამ პატრონების გამყიდველები, ალბათ მადლობასაც იღებენ, ვისგანაც ჯერ არს, ასეთი ერთგულებისათვის.

ამ პატრონებით ვაჭრობით ყველაზე უფრო აღელვებული იყო ხალხი თვით ბათუმში. მრავალი პირი მოდიოდა ჩემთან და მთხოვდენ: დაუყოვნებლივ მიიღოს მთავრობამ ღონისძიება ამ ბოროტების წინააღმდეგო. ნუ იპარავენ საწყობიდან,ნუ გამოაქვთ გასასყიდლათ,თვარა ჩვენი ხალხი პატრონებსა და თოფ-იარაღს ყოველთვის იყიდის, რადგანაც მას იარაღი უყვარსო.

ამ საქმეზე ჩემთან მოვიდა მთელი დელეგაცია აღამედ-აღა მაჩა-ოღლის მეთაურობით, რომელმაც გამომიცხადა, რომ ამ წუთას ქალაქიდან სულ რამდენიმე ვერსის მანძილზე, სოფელში მეზობელს ვასაფლავებდით, ოთხას-ხუთასი კაცი იქნებოდა თავმოყრილი. მოვიდა რამდენიმე ბერძენი პატრონებით სავსე კალათებით და დაიწყეს ხალხში პატრონების ყიდვა. ხალხმა ერთ წუთსავე დაიტაცა ეს პატრონები. მთხოვეს წავსულიყავი და ადგილობრივათ გამომერკვია საქმე, მაგრამ მე ეს ვერ ვქენი, რადგანაც ეს არ შეადგენდა ჩემს მოვალეობას.

II. ქალებისთვის ჩადრების ახდა

პატრონებით ვაჭრობასთან დაკავშირებულია მუსულმან ქალებისათვის ჩადრის ახდა, რაც მუსულმანებში დიდი აღელვებასა და მითქმა-მოთქმას იწვევს.

ჩადრს ჩვენ ქალებს „ობისკების“ დროს ძველი მთავრობაც ახდიდა, მაგრამ იმას იმ დროს შვრებოდენ ქალების დახმარებით. ქალების გასაჩხრეკათ ქალები მოყავდენ. ერთხელაც არ ყოფილა მაგალითი, რომ ჩვენი ქალები მამაკაცს გაეჩხრიკოს და მათთვის ჩადრები აეხადოსო. თვით საბაჟოში, რომელიც „კონტრაბანდის“ გაზიდვას უდგას დარაჯათ, ამ მიზნისათვის სპეციალურათ ყავდა რამდენიმე მოსამსახურე ქალი და მუსულმანების ქალებს ისინი ჩხრეკდენ.

ნუთუ, მართლაც, დიდი საქმეა ამ მიზნით ორიოდე დედა-კაცის დაქირავება, რომ მამაკაცებმა არ დაიწყონ მუსულმანი ქალების ჩხრეკა.

III. მექთამეობა

სოფლათ მექრთამეობა ძლიერ გავრცელებულია. ყოველ ფეხის გადადგმაზე აქ ქრთამს იღებენ. იღებენ ფულათ, იღებენ საქონლით. აქ ხშირათ გაიგონებთ: ამა და ამ კაცმა ორმოცი ათასი ქრთამი გადაიხადა და, ამან და ამან ასი ათასიო. დაემუქრებიან დაჭერას და შემდეგ ათვალთვალებულ მსხვერპლს ქრთამის საშუალებით ანიჭებენ თავისუფლებას. საქონლით ქრთამი აქ ხალხსაც იოლათ მიაჩნია. ფუთი კარაქის, ან ყველისა და ცხვრის მირთმევას აქ ქრთამი არა ქვია — ეს ფეშქეშია. ამას არც ხალხი ჩივა. ფულის და ისიც დიდი ფულის გადახდას კი ყველა ჩივის.

მექრთამეობა ძალიან გავრცელებულია თვით ქალაქში, სადაც სპეკულანტებს დიდი რთველი აქვთ. მაგრამ აქ არც წვრილფეხა მილიციონერი რჩება ხელ-ცარიელი.

ქესქინ იმნაიშვილმა ასე დამისურათა ეს წვრილფეხა მექრთამეები: ინგლისელებმა ტყავი გაგვაძრეს. მათ ერთი მანეთი არ შემოუტანიათ ჩვენში და გატანით კი რამდენიმე ათეული მილიარდი გაიტანესო. მაგრამ მათი ადმინისტრაცია ხალხიდან ქრთამებს არ ღებულობდა, ჩვენ არ გვაწუხებდა, ხალხი ადმინისტრაციას არც კი ხედავდა. ახლა კი დუქანში ვერ შევსულვართ, სადილი ვერ გვიჭამია რესტორანში, რომ მილიციონერები არ აგვეტუზოს გვერდში და ან სადილი არ მიირთვას ჩვენს ხარჯზე, ან ფული არ გამოგვართვასო.

თუ არ მივცემთ, სიცოცხლეს გაგვიმწარებენ, ქვეყნის მტრად და ორგულათ გამოგვაცხადებენო.

IV. მეძავი ქალების ქალაქიდან გაძევება

საგანგებო კომისარს კარგი უნებებია, რომ ქალაქიდან მეძავი ქალების გაძევება გადაუწყვეტია. მაგრამ ეს ბრძანება სისრულეში არ არის მოყვანილი, ან უკეთ რომ ვსთქვათ ქალაქიდან გაუძევებიან ძალიან ცოტა ნაწილი ასეთი ქალებისა და ისიც გონჯი და მახინჯები. მათგან უფრო ლამაზები ისევ ისე ძველებურათ ცხოვრობენ და განაგრძობენ თავის ხელობას. ამ ბრძანების მერე მხოლოდ ის შეცვლილა, რომ ახლა ქალაქის კომისრებსა და მილიციის აგენტებს მიუღიათ თავისთავზე ასეთი ქალების პატრონობა და ღამ-ღამობით კაფე-რესტორანებში თავისუფლათ ასეირნებენ. იმავე დროს მოქალაქე თავისი ცოლით რესტორანში სადილის, ან ვახშმის საჭმელათ ვერ შევა, რომ რომელიმე ჩინი წინ არ გამოეჭიმოს და მოწმობა არ მოთხოვოს: ეს ქალი ნამდვილი ცოლია, თუ მეძავი ქალიო. თუ მოწმობა არ გამოაჩნდა, ციხეში უკრავენ თავს, მაგრამ უფრო შხირათ ასეთი საქმე ქრთამით თავდებაო.

V. ხალხის ცემა და პირადი შეურაცხყოფა

ქართველი მახმადიანები, რომელთაც სისხლის აღება ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი, ვერ ურიგდება ადმინისტრაციის მიერ ცემა-ტყეპასა და პირად შეურაცხყოფას. აქ ამ ნიადაგზე თითქმის ყოველგან ხდება უკმაყოფილება. მაგრამ როცა ასეთი ცემა-ტყეპის ობიექტათ ხდება მოხუცი ადამიანი, ამას კი სულ ვერ იტანს აქაური ხალხი. აქ თეთრ-წვერა, ხანში შესული ადამიანი პატივისცემის ღირსათ მიაჩნიათ. ახალგაზრდა კაცი, რაც უნდა ჭკუიანი და ნასწავლი იყოს იგი, მაინც ვერ შეედრება ხალხის თვალში თეთრ-წვერა მცხოვან კაცს, თუნდაც იგი ჭკუა-გონებაზე ძალიან მწყრალათ იყოს. ზოგი ჩვენი ადმინისტრატორები ამას არ დაგიდევენ: გააწვენენ და სცემენ მოხუცებულ ადამიანს. ასეთი შემთხვევა მე აქ ბევრი დამისახელეს, მაგრამ რაც მე დანამდვილებით ვიცი ეს იყო ორი შემთხვევა: ერთი სოფელ კოხში, რაც ორი მილიციონერის სიკვდილით დამთავრდა, მეორე სოფელ ხულოში. აქ მახმადიან ქართველ წულუკიძეს, 70 წლის მოხუცს, სცემა კომისარმა გოგელიამ. ეს ფაქტი ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან გავიგე, მაგრამ იმას აქ არ მოვიყვანდი, რომ იგი არ დაემოწმებია ბათუმის ოლქის ინჟინერს ბ. გიორგობიანს, ჩვენს პარტიულ ამხანაგს. ისევე დამიმოწმა ჯალილ-ბეგ ხიმშიაშვილმა, რომელიც, როგორც გამოირკვა, დიდი მეგობარიც ყოფილა კომისარი გოგელიასი.

VI. ოლქში მიმოსვლის მოუწყობლობა

ოლქში მიმოსვლა ყოვლად შეუძლებელია, ქალაქი სრულიად მოწყვეტილია პერიფერიებზე. მართალია, გზებს შედარებით არა უშავს, მაგრამ არაფერი მიმოსვლის საშუალება აქ არ არსებობს არა თუ უბრალო მომაკვდავისათვის, ასეთი საშუალება აქ არ მოიპოვება თვით

საპასუხისმგებლო ადგლზე მდგომი ადმინისტრატიული პირებისათვის. ბათუმის ოლქის კომისარმა ბ. შენგელიამ ჩემს შეკითხვაზე: რატომ თითქმის მთელი თვის განმავლობაში მან არ გაგზავნა ხულოში ახალი კომისარი, მიპასუხა: სამი კვირა მეტია, რაც ხულოში ახლად დანიშნული კომისარი ბათუმში იცდის და ვერაფერი გზით იმისი ხულოში გაგზავნა ვერ მოგვიხერხებია, რადგანაც არ მოგვეპოვება არც ავტომობილი, არც ფაიტონი და არც სხვა რამე საშუალება მიმოსვლისათვისო.

ეს პირდაპირ დაუჯერებელია, მაგრამ ეს ფაქტია. აქ, თბილისში, სადაც არაფერ საჭიროებას არ წარმოადგენს, მინისტრებიდან დაწყებული თითქმის ყველა ოფიცერს და მათ ცოლშვილს ავტომობილები ყავს. ქალაქი სავსეა კერძო საბირჟი ავტომობილებით, მათი გრიალი ყურებს გვიყრუებს, მათი შიშით ქუჩებში გავლა გვიჭირს და იმავე დროს მთელი ბათუმის ოლქისათვის ხუთიოდე ავტომობილიც ვერ გაგვიმეტებია, რომ ადმინისტრაციამ თავისი მოვალეობა შესრულოს.

ამ ნაკლს ახლავე უნდა მოეღოს ბოლო.

VII. ავტონომიის საკითხი

პირველი, რასაც აქ ყოველგან და ყველასაგან გაიგონებთ, არის ავტონომია. დიდი და პატარა, ბეგი, გლეხი თუ სასულიერო პირი, ნასწავლი თუ უსწავლელი, პირველ გაცნობისთანავე ავტონომიას მოგახლის პირში, ამით დაიწყებს და ამითვე გაათავებს თქვენთან ლაპარაკს.

ავტონომია. რა უყავით ავტონომია. სად არის თქვენი დაპირება.

ეუბნებით:

— მოითმინეთ. ერთ დღეს ქვეყანა ღმერთსაც არ აუშენებია, ჩვენ ხომ უბრალო ადამიანებნი ვართ და ორი თვის განმავლობაში ყოველისფერს ვერ გავაკეთებდით. აი, სულ მოკლე ხანში იქნება ამ საგანზე

მსჯელობა დამფუძნებელ კრებაში. ჩვენ ვიზამთ იმას, რაც უფრო საჭირო და სასარგებლო იქნება ქვეყნისათვის.

— არა, თქვენმა მთავრობამ დაგვპირდა. თქვენი აქ ჩამოსვლის პირველ დღიდანვე უნდა აგესრულებიათ დაპირებები.

პირველ შეხვედრაზე ისე გეგონებათ, რომ აქ ავტონომიის საკითხი ისე მომწიფებულია, იმისი სიყვარული და აუცილებლობის გრძნობა ისე გასჯდომია ხალხს ძვალრბილში, რომ უამისოთ სიცოცხლეც არ ეხერხებაო. მაგრამ დიდი დაკვირვება არ არის საჭირო რომ მიხვდეთ, რომ ცხადათ დაინახოთ, რომ აქ არა თუ ხალხს, თვით ვითომ და ამ ხალხის მეთაურებსაც არა აქვს შეგნებული თუ რა არის ეს ავტონომია.

ყველა ასე გაკაპასებით გეუბნება აქ ავტონომიაზე, მაგრამ საკმაოა ცოტა დაუყვავოთ, ცოტა გადაუკრათ სიტყვა იმის შესახებ, რომ ცალკე ავტონომია ბევრ ხარჯს მოითხოვს, თქვენ ამის ატანა არ შეგიძლიათ, ამას ის ემჯობინება, რომ აქაური ხალხის წარმოამდგენლები შევიდენ საქართველოს მთავრობის სამსახურში და ქართველ ჩინოვნიკებთან ერთათ, ადათისა და ადგლობრივი ზნე-ჩვეულების მიხედვით, თვით მართონ თავის ქვეყანაო, მაშინვე კილოს შეიცვლიან, მშვიდობიანათ დაგიწყებენ ლაპარაკს და მალე თანხმობასაც გამოგიცხადებენ. სიტყვა ავტონომია აქ მხოლოდ ეგრეთ წოდებული ინტელიგენციის გამოგონილი და ხალხში გასროლილი ლოზუნგია. „ავტონომია“ აქ გამოუგონია რამდენიმე ინტელიგენტს, რომლებიც თქვენს პირველ შეკითხვაზე:

— რასა იქთ, როგორ ბრძანდებითო? პირდაპირ გიპასუხებენ:

— რა ვქნათ, ადგილი არა გვქავს, უსაქმოთ დავეხეტებითო.

აქედან ცხადია, თუ რა დიდი ღირებულებაც უნდა

ქონდეს აქ ავტონომიის დაჟინებით მოთხოვნას. მაგრამ აქედან ისიც ცხადია, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ჩვენ ეს გარემოება. ამ ადგილობრივ ინტელიგენტური ძალების სამსახურში მიღება და მართვა-გამგეობის საქმეში გამოყენება აქ ერთიანათ გადასწყვეტს ავტონომიის საკითხს. მაგრამ ამაზე ქვემოთ მოვილაპარაკებთ.

VIII. ადგილობრივი მეჯლისები

ადგლობრივი მართვა-გამგეობისა და მართლმსაჯულების საქმე ოლქში, როგორც ვთქვით, სრულიად მოუწერიგებელია.

რუსის მთავრობამ აქ დააარსა ადგილობრივი მეჯლისები, რომლებიც ხალხის საქმეებს განაგებდენ. ინგლისელებმა ეს მეჯლისები გააუქმეს. ჩვენ იგი არ განგვიახლებია.

ეს მეჯლისები არსებობდენ უჩასტკებში და მოქმედებდენ უჩასტკის უფროსების თავმჯდომარეობით. სამოქალაქო საქმეები, რომლის ღირებულება არ აღემატებოდა 3000 მანეთს, შედიოდა ამ მეჯლისების კომპეტენციაში. სისხლის სამართლის საქმეები კი წარმოებდენ ჩვეულებრივის წესით, როგორც რუსეთის სხვა კუთხეებში.

მთელი ბათუმის ოლქი გაიყოფებოდა 7 უჩასტკათ: 1) კინტრიშის (რეზიდენცია ქობულეთში იყო), 2) გონიის (მარადიდი), 3) ქედა, 4) ხულო, 5) არტანუჯი, 6) ართვინი და 7) შავშეთი.

თითოეული მეჯლისი შესდგებოდა სამი არჩეული პირისა და მათი კანდიდატებისაგან. მეოთხე აუცილებელი წევრი მეჯლისისა იყო ყადი, რომელიც იმავე დროს უეჭველათ ადგილობრივი მოლაც უნდა ყოფილიყო. ყადი უნდა ყოფილიყო ისეთი პირი, რომელსაც განათლება სტამბოლში ან არაბეთში უნდა ქონოდა მიღებული და მეჯლისისათვის ერთგვარი ხელმძღვანელობის გაწევა

შესძლებოდა შარიათის მიხედვით. ყადი უმთავრესათ განაგებდა ისეთ საქმეებს, როგორიც არის ქორწინება-განქორწინება, მემკვიდრეობა და სხვა... მეჯლისში უეჭველათ თავმჯდომარეობდა უჩასტკის უფროსი.

ეს იყო სიტყვიერი სამსაჯულო, ან როგორც რუსები ეძახდენ "Словесный Суд" აქედან საქმეები გადადიოდა ბათუმის მეჯლისში, რომელსაც ეწოდებოდა სახალხო სასამართლო ("Народный Суд"). ესეც იმავე შემადგენლობითა და რიცხვით ირჩეოდა, როგორც პირველი, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ სამსაჯულოში უეჭველათ შედოდა ერთი სომეხი, რომელსაც ართვინის რაიონი ირჩევდა, ყადის მაგიერათ შედიოდა მუფთი და თავმჯდომარეობდა აუცილებლათ ან ბათუმის გუბერნატორი, ან მისი თანაშემწე.

გონიის მუფთი მესტუმრა და ძალიან მთხოვა ამ მეჯლისების აღდგენის დაჩქარება მეთხოვა მთავრობისათვის.

მეც აღუთქვი.

IX. ჩვენი ჯარის ნაწილები განსაცდელშია

არ შემიძლია თქვენი ყურადღება არ მივაქციო ოლქში ჩვენი ჯარის ნაწილების მდგომარეობას.

ჯერ უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდ განსაცდელშია თვით ბათუმში მობინადრე ჯარები. ისინი მოთავსებული არიან ყაზარმებში, რომლებსაც არ მოეპოვებათ არც კარები, არც ფანჯრები, შიგ არ არსებობს არც ნარები და არც სხვა რამე საწოლები. ჯარის კაცები ყრიან პირდაპირ იატაკზე, რომელზეც დაფენილია ცოტაოდენი თივა. საშინელი სინესტე, აუტანელი ჰაერი ყაზარმებში. ცუდათ ჩაცმულ ჯარის კაცებს საშინელი ციებ-ცხელება დაპატრონებია. ამიტომაც აქ იშვიათათ შეხვდებით ჯარისკაცს, რომელსაც ადამიანის ფერი ედოს.

არც ის ჯარის კაცებია უფრო კარგ პირობებში, რომლებიც თვით ოლქშია „პოსტებზე“ გაბნეული.

ოლქში საგანაპირო ჯარის მაგიერობას ეწევა ქვეითი ჯარის ერთი ბატალიაონი. საზღვრების ხაზი გაჭიმულია 120 ვერსის მანძლზე. ეს ჯარი დანაწილებულია 10-12 კაცი სხვა და სხვა „პოსტებზე“ და მოფანტულია მთელს ოლქში. პოსტები ერთმანეთისაგან დაშორებულია 15-20 ვერსის მანძილზე. უმეტეს ნაწილათ ამ „პოსტებზე“ ჯარის კაცებს არა აქვს თავშესაფარი და ისინი პირდაპირ ცის ქვეშ ყარაულობენ. აქ საშინელი ცივი ღამეები იცის (ზაფხულშიც კი) და ჯარის კაცები, რომ სიცივით არ დაიხოცონ, იძულებული ხდებიან ადგილობრივ მცოხვრებლების ღობეები, ხშირათ სახლებიც კი (ასეთი მაგალითები ჩვენის თვალით ვნახეთ ბორჩხაში) დაამტვრიონ და ცეცხლი დაინთონ. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, აღელვებს ადგილობრივ მცხოვრებლებს.

ჯარის კაცები აქაც ავათმყოფობენ. ციებ-ცხელება მათშიაც ძლიერ გავრცელებულია.

მაგრამ ამ ოლქში გაბნეული ჯარის ნაწილები ისედაც საშიშარ მდგომარეობაშია. საკმაოა, რომ ესა თუ ის სოფელი პროვაკატორების ფეხის ხმას აყვეს, რაც აქ ადვილი მოსალოდნელია, და 10-12 ჯარის კაცი ვერაფერს ვერ გახდება. სანამ მიუვალ მთებში ჩვენ მათ მივეშველებოდეთ, იმათ ყველას ყელებს გამოსჭრიან... ამის მაგალითი ჩვენ უკვე გვქონდა სოფელ კოხში, სადაც ჩვენს ოციოდე მილიცონერს ღამით თავს დაესხენ, ორი მათგანი მოკლეს და შემდეგ მკვდრებსაც ყელები გამოსჭრეს... ეს ცხადათ ამტკიცებს, რომ ჩვენი ჯარის ნაწილები აქ საფრთხეშია და რომ იგი გაჭირვების დროს არაფერ სერიოზულ ძალას არ წარმოადგენს. ასეთი მდგომარეობა, ვიმეორებ, სახიფათოა.

ახლავე უნდა შესდგეს სპეციალური სანაპირო ჯარი. მანემდის კი ჯარი უფრო საჭირო პუნქტებში უნდა იდგეს საგრძნობელ ერთეულებათ და არა ათი-თორმეტი კაცი.

X. ხალხის განიარაღება

ბთუმში ყოფნის დროს გავიგონე და ეს თბილისში თქვენგანაც გავიგე, რომ ართვინის რაიონში ხალხის განიარაღებას ვფიქრობთო.

ეს შეუძლებელიც არის ტეხნიკურათ და დიდ საფრთხეში შეიძლება ჩავარდეთ თუ ამ საქმეს ხელი მივყავით.

განიარაღება ყოვლად შეუძლებელია გატარდეს იმ მიუვალ კლდეებში და ისეთ ხალხში, რომელსაც უიარაღოთ ცხოვრება ვერც კი წარმოაუდგენია... სად არის ის ძალა, ის ორგანიზაცია, რომელიც ამ საქმეს თავს იდებს და გაატარებს.

ნუთუ ხალხის განიარაღების საქმე უნდა მიენდოს იმ ოფიცრებსა და ადმინისტრაციის წარმოამდგენლებს, რომელნიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ასე უსინდისოთ იპარავენ სახელმწიფო საწყობიდან იარაღებს და იმ ხალხზე ყიდიან. თუ ტყვია-წამლის ყიდვა-გაყიდვის ისტორიას მოვიგონებთ თვით ბათუმში, ჩვენ ადვილათ დავეთანხმებით იმ აზრსაც, რომ ახლა აქ განიარაღების წარმოება მხოლოდ რამდენიმე აქაური ოფიცრის გამდიდრების საგანი იქნება და იარაღს ჩვენ ვერ მივიღებთ, ან კი რა საჭიროა ხალხის განიარაღების ასე დაჩქარება.

მეტი არ იქნება, რომ აქაც რუსეთის პრაქტიკიდან ავიღოთ მაგალითი.

თვით დიდმა რუსეთმა მთელი ასი წლის განმავლობაში ვერ გაბედა ამ საქმის ცხოვრებაში გატარება. მან ეს მთელი ასი წლის განმავლობაში ვერ შესძლო არა თუ მთებში, სადაც ხალხის უიარაღოთ ცხოვრება წარმოუდგენელია, სადაც სისხლის აღება და შურის ძიება შეადგენს ხალხის არსებობის საგანს, მან ეს ვერ შესძლო ბარშიაც, ქუთაისის გუბერნიაშიც, სადაც უფრო კულტურული ხალხი სცხოვრობდა. აქაც მხოლოდ

ოცდაათი წლის წინათ მოკიდა ამ საქმეს ხელი გუბერ-ნატორმა სმეკალოვმა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ერთის მხრით დიდი შეიარაღებული ძალა და მეორეს მხრით — „ნოვოე ვრემია“ და თბილისის ოფიციოზი „კავკაზი“ — ცნობილი ველიჩქოს მეთაურობით.

სმეკალოვმა დიდი მითქმა-მოთქმა და აღელვება გამ-ოიწვია ამ საქმის დაწყებით, რის სისრულეში მოყვანა მან ვერ შესძლო და მალე მიანება თავი. ეს ხალხის განიარაღება ჩვენში მოხდა თავისთავათ, ბუნებრივათ, განათლებისა და კულტურის ზედგავლენით.

სვანეთი, რომელიც ჩვენ ვითომდა განვაიარაღეთ, აქ მოსატანი არ არის. ჯერ ერთი ის, რომ ვინ იცის განვაიარაღეთ თუ არა ჩვენ სვანები, ვინ იცის თუ დღესაც რამდენი იარაღები ინახება ამ მიუვალ მთებში. მაგრამ სვანეთში ამ საქმის ცხოვრებაში მოყვანა კიდევ დასაშვებია, რადგანაც სვანები ბუნებრივათ ხაფანგშია მოწყვდეული და თუ იქ ცოტა საგრძნობი ძალა შევი-ყვანეთ, სვანი ვერსად ვერ გაგვექცევა, ის იძულებული იქნება ძალას დაუმორჩილდეს და ათში ერთ შემთხვევაში მაინც იარაღი ჩაგვაბაროს (ჩვენში ამას ეძახიან გან-იარაღებას).

ბათუმის ოლქი სულ სხვა. აქ ხალხი კიდეც რომ დათანხმდეს და დღეს იარაღი ჩაგაბაროს, ხვალ ის ისევ თავიდან ფეხამდე შეიარადება, რადგანაც ის მისახლე-ბულია ზღვაზე, საიდანაც ის თავისუფლათ მიიღებს იარაღებს, რადგანაც ის სრულიად მიმბულია ოსმალეთ-თან, რომელიც ძალიან დაინტერესებულია ეს ხალხი შეიარაღებული იყოს და იმავე დროს ჩვენს წინააღმდეგ იყოს განწყობილი. ამას დღესაც ახერხებს ოსმალეთი.

აქედან ცხადია, რომ აქ ჩვენ ხალხის განიარაღებაზე ხელი უნდა ავიღოთ და საქმე სხვა დროისთვის გადას-დოთ.

საზოგადო მოსაზრებები

ბათუმის ოლქი ჩვენი რესპუბლიკისათვის ყველაზე უფრო საშიშარი მხარეა. ის პირდაპირ მიდებულია საქართველოს ისტორიულ მტერ ოსმალეთის ტერიტორიაზე, რომელთანაც ქართველ მახმადიანებს აერთებს რელიგია. აქაური ხალხი, როგორც ყველა ისლამის მორწმუნე ხალხი, მოკლებულია ყოველგვარ ნაციონალურ გრძნობას. მისი ნაცია, მისი სისხლი და ხორცი ისლამია, მისი ბატონ-პატრონი ისლამის სამშობლოა, მისი სულისა და ხორცის მეუფე — ფადიშახია. ისლამი ეს რაღაც უნივერსალური ძალაა, რომელიც იპყრობს და ფარავს ყველა სხვა გრძნობას, ყველა სხვა დამოკიდებულებებს. ჩვენი იმედები ამ ხალხში ჩვენი გავლენის განმტკიცების საქმეში ემყარება მხოლოდ ნაციონალური გრძნობის ძალას. ჩვენ ამ მხარეში ვხედავთ ჩვენს სისხლით ძმებს, რომელთა გვარიშვილებიც მრავლობით არიან ქრისტიან ქართველთა შორის და ამიტომაც ლიტონი სიტყვა როდია როცა ვლაპარაკობთ: აჭარლები ჩვენი ღვიძლი ძმები არიანო. მაგრამ, როცა მათ ჩვენ ძმებს ვეძახით, სრულიად გვავიწყდება, რომ ეს სიტყვები სრულიად წინააღმდეგ ეფექტსა და შთაბეჭდილებას ახდენენ ამ ხალხზე. ეს რელიგიოზური ფანატიზმით შეპყრობილი ხალხი ერთათ-ერთ წინასარმეტყველად სთვლის მუხამედს, ერთათ-ერთ რჩეულ ხალხთ — თავის თავს. სხვა ყველა მისთვის ურწმუნოა, უწმინდური, ღირსი არ არის მისი ძმობისა, მეგობრობისა და ნაცნობობისა. ყორანი პირდაპირ უკრძალავს მას გიაურ ქრისტიანებთან რაიმე საქმის დაჭერას. და ჩვენ ასეთი ხალხის გული გვინდა მოვიგოთ იმის გახსენებით, რომ ჩვენ ძმები ვიყავით და დღესაც ძმები ვართ. დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, მივხვდეთ, რომ ამით ჩვენ სრულიად წინააღმდეგ შედეგებს ვიღებთ, ამით ჩვენ მხოლოდ ზიზღს ვიწვევთ იმ ხალხში.

სწორეთ აქ არის ამ ხალხის ჩვენდამი სიძულვილის წყარო: აქ არის ის კვანძი, რომლის გახსნაც მოინდომებს მთელ ჩვენ ძალ-ღონეს. ჩვენი უბედურება ისლამის ძლიერებაშია, ჩვენი ტრაღედია ყოველთვის იმაში მდგომარეობდა, რომ რაც ისლამი ეხებოდა ქრისტიანების სარწმუნოებას, ყოველთვის ისლამი გამოდიოდა გამარჯვებული.

რით შეგვიძლია ჩვენ ამას გაუმკლავდეთ.

იქნება ვინმემ იფიქროს: მიწის კანონებით მოვერევით საქმესო. ეს შემცდარი აზრია. ჯერ ერთი ის, რომ აქ მიწის საკითხი არ არსებობს. აქ მიწა არვის არ აბადია. ეს ქვეყანა დიდრონი მთების ქვეყანაა, რომელიც დასერილია რამდენიმე მდინარით, ეს მდინარეები სრულიად მოკლებული არიან ჭალებიან დაფენილ ნაპირებს, სადაც ხვნა-თესვა და სხვა ასეთი სასოფლო მეურენეობა შეიძლებოდეს.

მდინარეები გარშემორტყმულა დაყუდებული მთებით, რომელსაც მხოლოდ აქა-იქ სერავს პატარა ბილიკები, ამ ბილიკებიდან ხშირათ მდინარეს კიდეც ვერ ხედავთ, ის ჯურღმულში მიექანება. აბა, მოდით და ასეთი ადგილები სახნავ-სათესათ გამოიყენეთ. ამიტომაც არის, რომ აქ ადგილები თითქმის არავის არ აქვს, აქვს მხოლოდ რამდენიმე ბეგს ბათუმის მახლობლათ, მაგრამ ეს მიწები ზღვაში წვეთია. კარგი, თუ გინდა ეს ჩამოავრთვათ, მაგრამ ამ რამდენიმე ასი ქცევა მიწით ვის დააკმაყოფილებთ, აღა-ბეგებს კი მოიმდურებთ და ეს ათასჯერ მეტ ზიანს მიაყენებს აქ ჩვენს საქმეს, ვიდრე ამ მიწების დარიგებით რამდენიმე გლეხის ოჯახის მომადლიერება.

ეგ საკითხის პრაქტიკული მხარეა. მაგრამ ვერც თეორეტიულად დაიჭერს ეგზამენს ჩვენი მიწის კანონები ისლამის სამეფოში. ამ მხრით ჩვენზე დიდი სოციალისტი მაგომეტი იყო, რომელმაც მიწა მხოლოდ ღმერთს მიაკუთვნა და ყველა ამ ღმერთის მორწმუნეს შეუძლია მითი სარგებლობა.

მაგრამ სად არის ის ძალა, რომელსაც უნდა დავეყრდნოთ ჩვენ ამ მხარეში ჩვენი გავლენის დასამყარებლათ.

ნამდვილი და საიმედო ძალა ის არის, რომ აქ ჩვენ გვყავდეს ორმოცდაათი ათასი ჯარის კაცი თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული. ეს არის შეიარაღებულ მუშტის მეთოდი. ეს ყველაზე ძლიერია. თუ ყოველთვის ასეთი ძალა გეყოლა, გამარჯვებაც შენია. მაგრამ ეს შეუძლებელია ჩვენთვის. ჯერ ის, რომ ჩვენ ასეთი ძალა არ მოგვეპოება და არა მგონია, რომ ასეთი ძალა ახლო მომავალში გვეყოლოს. მეორე ის, რომ ჩვენ სხვას ვასწავლიდით და ვუხსნიდით, რომ ყოველთვის ხიშტებზე დაყრდნობა შეუძლებელიაო. მაშ ეს შეუძლებელია და გამოუსადეგარი ჩვენთვისაც. ესეც არ იყოს, ჩვენ ხომ დემოკრატიული რესპუბლიკა გვაქვს და ასეთი ძალაზე დაყრდნობა ეწინააღმდეგება ჩვენი რესპუბლიკის ყველა პრინციპებს.

მეორე კიდევ უფრო ძლიერი და საიმედო გზა ამ ხალხში ჩვენი ძალა-უფლების განმტკიცებისა არის მასში კულტურის შეტანა. ჩვენ უნდა გავანათლოთ ეს ხალხი, ჩვენ სწავლისა და მეცნიერების საშუალებით უნდა ვძლიოთ ისლამი. მაგრამ ეს გზა გრძელი და ეკლიანია. ამას დიდი დრო უნდა. ეს შესაძლებელია მხოლოდ ერთი საუკუნის განმავლობაში. და ასეთ დიდ დროს განმავლობაში აბა ვინ მოგვასვენებს, ვინ დაგვაცლის აქ ასეთ ხანგძლივ მუშაობას. ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოსმალეთი სულ ერთიანათ დაირღვა, თუ ამ დაუსრულებელმა ომიანობამ ის შედეგი მაინც მისცა კაცობრიობას, რომ ოსმალეთი მოიპობა, როგორც დიდი სახელმწიფო, თუ ის დანაწილება და სხვა და სხვა სახელმწიფოებს დაურიგდება. მაგრამ ამის მოლოდინი ნამდვილი აბსურდია. ამას გაბატონებული სახელმწიფოები არ მოისურვებენ. ეს დაარღვევდა მათ პლანებს და ოსმალეთსაც ისინი შეინახვენ ისე, როგორც დღემდე ინახავდენ.

აქედან გამოდის, რომ თითქმის უიმედო ყოფილა ჩვენი საქმე ამ მხარეში. თუ ეს ასეა, რაღა თავს ვიტყუილებთ, არ ჯობს, რომ ახლავე მივანებოთ თავი აქ მუშაობას?

მე ამის სრული თანახმა ვიქნებოდი, რომ შეიძლებოდეს საქართველოს რესპუბლიკის არსებობა უშავ ზღვოდ და უბათუმოთ. მაგრამ ეს შეუძლებელია და ამიტომ უნდა ვეძებოთ სხვა და სხვა გზები, ჩვენ უნდა უკანასკნელი ღონე ვიღონოთ, რომ ეს ხალხი როგორმე დევიახლოვოთ, როგორმე ცოტათი მაინც გავალღოთ ის სქელი ყინულის კედელი, რომელიც მათ ჩვენ გვაშორებს.

მაგრამ ჩვენ უნდა ავირჩიოთ რუსების მიერ ჩვენში ნაცადი მეთოდი.

როგორი იყო ეს მეთოდი?

ეს იყო შერეული მეთოდი. აქ ერთმანეთში იყო არეული შეიარაღებული ძალა, კულტურული მუშაობა და ადგილობრივი ძალების თავისკენ მიბირება და მაზედ დაყრდნობა.

ჩვენში რუსეთი ზარბაზნებითა და იარაღით ჩხარა-ჩხურით შემობრძანდა. მაგრამ კავკასიონის ქედსაც არ გამოსცილებოდა, რომ დარწმუნდა, რომ მარტო ძალით ვერაფერს გახთებოდა. ამიტომ მან პირდაპირ მიმართა ადგილობრივ მცხოვრებლებში გავლენიანი პირების გადაბირებას და მათი დახმარებით თავისი ავტორიტეტის განმტკიცებას. აიყვანეს სამსახურში ჩვენი ყოვლად უვიცი და მცონარე თავად-აზნაურობის წარმომადგენლები, გააჩინოვნიკეს ისინი და შექმნეს ქართველებისაგან რუსის ბიუროკრატია. ამ ბიუროკრატიაში ხალხი ხედავდა არა რუსებს, არა შორიდან ძალით შემოჭრილ მოუპატიჟებელ სტუმრებს, არამედ თავის ჩვეულებრივ „მოძმე“ ქართველებს, მის ენაზე მოსაუბრეს... ეს ჩინ-ორდენებითა და ჯამაგირებით მოსყიდული ქართველები უფრო ძლიერი იარაღი გამოდგა ჩვენში რუსეთის ბატონობის განსამტკიცებლათ, ვიდრე ზარბაზნები.

ამას დაემატა კულტურული მუშაობა: გზები, წყლები, სკოლები და რუსები სრულიად გაბატონდნენ ჩვენში.

ასეთია ის ნაცადი გზა, რომლითაც რუსეთმა შესძლო საქართველოს ხალხის გულის მოგება, თავისი ბატონობის განმტკიცება.

ჩვენ ეს ჩვენს ზურგზე ნაცადი რუსული მეთოდი დაგვივიწყია. აჭარის სხვა და სხვა ადგილებში თითო მუჭა ჯარი გაგვიჩერებია და გვგონია, რომ აქ, ისლამის მორწმუნეთა შორის, ჩვენს ბატონობასა და გავლენას ვქნით.

ჩვენ აქ ვგზავნით ყოვლად უვარგის ჩინოვნიკებს, ვგზავნით ისეთებს, რომლებსაც აქ არ ვენდობით, ვიწუნებთ და ციხეებში ვსვამთ (მოიგონეთ პოლკოვნიკი წულუკიძე) და მათი საშუალებით გვინდა ხალხის გული მოვიგოთ.

აბა დამისახელეთ თუნდაც ერთი საპასუხისმგებლო ადგილი, რომელზეც ქართველი მახმადიანი იყოს მოწვეული.

შეიძლება მიბრძანონ: ქართველ მახმადიანებს ინტელიგენტური ძალები არ მოეპოებაო. მაგრამ მე-18 საუკუნის დასასრულში საქართველოში კი მოიპოებოდენ ინტელიგენტური ძალები, რომ რუსები სარგებლობდენ ჩვენში გავლენიანი პირებით. მიბრძანეთ, რითი ჩამოუვარდება თუ გინდათ ქართველ დიდ ჩინოვნიკებს, მაგალითად, იგივე მემედ-ბეგი აბაშიძე, რომელმაც ასეთი დიდი სამსახური გაუწია ჩვენს საქმეს ამ მხარეში.

ასეთი მემედ-ბეგები აქ რამდენიმე ათი მაინც მოგვეპოვება.

მერე მივედით ჩვენ ამ ხალხთან, დავიახლოვეთ ისინი? მოვიწვიეთ ამ ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში?

არა! სრულიად პირიქით! ეს პირები ჩვენ გამოვიყენეთ მაშინ, როცა გარეშე მტერი ბათუმის წართმევას გვექადდა. ამ ხალხს „ქვეყნისა და ისტორიის წინაშე“ აღვიარებიეთ, რომ ისინი ჩვენი ღვიძლი ძმები არიან, რომ მათ მხოლოდ დედა საქართველოსთან უნდათ

არსებობა... და როცა საფრთხე მათი დიდი დახმარებით თავიდან ავიცილეთ, ამ ჩვენს დამხმარე პირებს ვკარით ჭიტლაყი და კარში გავაგდეთ. ეს მოყვრულათ გაწყობილი ხალხი მტრებათ ვაქციეთ. დღეს მათი უმეტესობა ჩვენს მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადასულან, ჩვენს წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან.

ეს დიდი შეცდომაა და ეს შეცდომა ახლავე უნდა იქნეს გასწორებული.

დამფუძნებელი კრების წევრი პ. გელეიშვილი

8/10-20.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 144, ფურცლები 1-10. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.
პეტრე გელეიშვილის ხელრთვა.

ПОЛИТИЧЕСКАЯ СИТУАЦИЯ В АДЖАРИИ (1920 ГОД)

ДОКЛАДНАЯ ЗАПИСКА ЧЛЕНА УЧРЕДИТЕЛЬНОГО СОБРАНИЯ ГРУЗИИ ПРЕДСЕДАТЕЛЮ ПРАВИТЕЛЬСТВА ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ

Текст подготовили к печати и снабдили
вступительной статьей
Аполлон Силагадзе и **Вахтанг Гурули**

Издательство "Интеллект"
Тбилиси 1998